# რეალიზაციების და გადახდების ინტეგრაცია პროგრამა Cloudbeds-დან



## ზოგადი აღწერა

აღნიშნული დამუშავებით პროგრამა ბალანსში შესაძლებელია Cloudbeds-იდან დაგენერირებული რეალიზაციების და გადახდების ექსელის ფაილის შეტვირთვა და დოკუმენტების ავტომატური შექმნა.

დამუშავებას აქვს შემდეგი სახე:




დამუშავებას აქვს 3 ღილაკი:

- **ჩატვირთვა**; აღნიშნული ღილაკზე დაჭერით პროგრამა ქმნის რეალიზაციებისა და გადახდების დოკუმენტებს.
- **შევსების კონტროლი**, მოწმდება ყველა საჭირო ცნობარი დოკუმენტის შესაქმნელად რამდენად არსებობს ბაზაში. იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე ცნობარი არ არსებობს ბაზაში, დამუშავება გააწითლებს და დააგენერირებს შესაბამის შეტყობინებას;
- **ცხრილის ჩატვირთვა ფაილიდან,** ღილაკით გავდივართ ფაილის ასარჩევ ფორმაზე.

ექსელში არსებული ინფორმაციიდან პროგრამისთვის რელევანტურია შემდეგი მონაცემები:

- Room-ის სვეტში არსებული ინფორმაცია ბალანსში ემატება, როგორც მომსახურების ტიპის ნომენკლატურა, რათა გაყიდვების და შემოსავლების დანახვა შესაძლებელი იყოს ანგარიშგებებში
- Res # - სვეტში არსებული ინფორმაცია არის რეზერვაციის ნომერი, რომელიც დამუშავებით შექმნილ დოკუმენტებს ექნებათ მითითებული.
- Source - ველში არსებული ინფორმაცია, გულისხმობს კლიენტის მოყვანის წყაროს, რომელიც ბალანსში ემატება როგორც მყიდველი
- Description – ის ველში არსებული ინფორმაცია გულისხმობს გადახდის ტიპს, რომელიც შესაძლებელია იყოს როგორც ქეში/ტერმინალი. ასევე ჩარიცხვა მყიდველის წყაროს მიხედვით. მაგ: Airbnb Payment

პროგრამა შემოსავლად აღიარებს Debit სვეტში არსებულ თანხებს, ხოლო გადახდებს ქმნის Credit სვეტში არსებულ თანხებზე.